საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი **25.10.2021.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ამირან გიგინეიშვილი, დავით ჩხარტიშვილი და გიორგი ჩახვაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის ძირითადი ნაწილი ეხება სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხის ასახვას მიმდინარე წლის ბიუჯეტში.

როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული და დამეწყრული გზების, მდინარეების გასწორხაზოვნების სამუშაოების დაფინანსების მიზნით აუცილებელია გამოიყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60000 ლარი, ასევე განხილული იქნა ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილი და მიზანშეწოლილად ჩაითვალა აღნიშნულ ა(ა)იპ-ს გაეზარდოს დაფინანსება (ორგ.კოდი 03 01) 150000 ლარით; მათ შორის საწვავის ფასთა სხვაობის დეფიციტის შევსების გამო 34000 ლარი, საბურავების შეძენისათვის 10000 ლარი და საქონელი და მომსახურების ხარჯი 106000 ლარი. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 210000 ლარით ზრდის ხარჯზე. საქართველოს მთავრობის 1863 13/10/2021წ.

განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი 960000 ლარი განაწილებულია ობიექტების მიხედვით: კერძოდ: სოფ. ქვიანი, რუსთაველის ქუჩაზე ხიდის მოწყობა-225362 ლარი; სოფ. მოედანი, თამაზ გუჯაბიძის ეზოსთან ხიდის მოწყობა-288810 ლარი; სოფ. ბაღლეფი, ფანდისეულის უბანში ასასვლელ გზაზე ხიდის მოწყობა-380954 ლარი; სოფ. გრიგოლეთი, სასტუმრო „ლაშთანთან" ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობა-საპროექტო ღირებულება 203340 ლარი და პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა-64874 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში მიზანშეწონილია საქონელი და მომსახურეობის მუხლის 20000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი (საჭიდაო ლეიბების შესაძენად) 20000 ლარით, ასევე შრომის ანაზღაურების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 3000 ლარით. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები გაიზარდოს 25574,74 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 25.10.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №8

2021 წლის 25 ოქტომბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.10.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ციცინო ჩხაიძე	არ ესწრებოდა	
3	გიორგი ჩახვაძე	11 50	
4	დავით ჩხარტიშვილი	11 55	
5	ამირან გიგინეიშვილი	11 50	
6	იოსებ ჩხაიძე	არ ესწრებოდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ზურაბ კუკულავა	არ ესწრებოდა	